შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 5 აპრილი, 2017 წელი

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიგა ნიკოლეიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „პრინტარეა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ სანაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „პრინტარეა“-ს შორის 2017 წლის 24 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N07.02.04/10/186 ხელშეკრულების *(საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შემოღების თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ჩასატარებელი ღონისძიებების სათანადოდ ორგანიზების მიზნით დროშების დეკორატიული გირლიანდების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი/დემონტაჟი) შესყიდვა)* მე-11 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - ვთანხმდებით:

1.1 შეტანილ იქნას ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-7[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1 მიწოდების ვადა: მონტაჟი - არაუგვიანეს 2017 წლის 25 მარტისა, დემონტაჟი - არაუგვიანეს 2017 წლის 19 აპრილისა.“.

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის 2017 წლის 5 აპრილის N04-01170953799 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2017 წლის 24 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N07.02.04/10/186 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>	<u>მიმწოდებელი:</u>
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „პრინტარეა“
ს/კოდი: 204521794	ს/კოდი: 404384395
მერის მოადგილე	დირექტორი
გ. ნიკოლეიშვილი	თ. სანაძე